

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება N01-01/14

(ოქმი N8)

ქ. ბათუმი

14 ივლისი 2016 წ

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მრჩეველთა საბჭოს რეგლამენტის მიღების შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 357 მუხლის და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს დებულების მე-4 მუხლის 4.4. ქვეპუნქტის საფუძველზე

1. მიღებულ იქნას სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მრჩეველთა საბჭოს რეგლამენტი.

2. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ვებ-გვერდზე „ajaratv.ge“.


3. გადაწყვეტილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დანართი: 11 ფურცელი.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

ზაზა ხალვაში



სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს

მრჩეველთა საბჭოს

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

მუხლი 1.

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მრჩეველთა საბჭოს რეგლამენტი (შემდგომში - „რეგლამენტი“) განსაზღვრავს და არეგულირებს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მრჩეველთა საბჭოს (შემდგომში - „მრჩეველთა საბჭო“) სხდომების დაგეგმვის, საბჭოს სამართლებრივი აქტების მომზადების, გაფორმების, მიღებისა და გამოქვეყნების, საბჭოს სხდომების ჩატარების, საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე პროექტების მომზადების ორგანიზაციას, პროცედურასა და ვადებს.

მუხლი 2.

მრჩეველთა საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს დებულებით და წინამდებარე რეგლამენტით.

მუხლი 3.

1. რეგლამენტი მტკიცდება მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილებით და მისი შესრულება სავალდებულოა.

2. მრჩეველთა საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა იმ პროცედურულ საკითხს, რომელიც მოწესრიგებული არ არის ამ რეგლამენტით და სხვა ნორმატიული აქტებით, წყვეტს მრჩეველთა საბჭო „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 4.

1. მრჩეველთა საბჭოს სხდომა იმართება არანაკლებ თვეში ერთხელ. რიგგარეშე სხდომას იწვევს მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე საკუთარი ინიციატივით, მრჩეველთა არანაკლებ ერთი მესამედის, დირექტორის ან საზოგადოებრივი მაუწყებლის აუდიტორის (შიდა უადიტის სამსახური) მოთხოვნით, მოთხოვნის წადგენიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა.
2. დირექტორს, საზოგადოებრივი მაუწყებლის აუდიტორს და დამოუკიდებელ აუდიტორს უფლება აქვთ, დაესწრონ მრჩეველთა საბჭოს სხდომას. მრჩეველთა საბჭო ვალდებულია მოუსმინოს მათ და განიხილოს მათ მიერ დასმული საკითხები.
3. მრჩეველთა საბჭო და მისი თავმჯდომარე უფლებამოსილი არიან, საბჭოს სხდომაზე მოიწვიონ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ნებისმიერი თანამშრომელი, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს აუდიტორი (შიდა უადიტის სამსახურის წარმომადგენელი) და დამოუკიდებელი აუდიტორი. ისინი ვალდებული არიან, დაესწრონ სხდომას და პასუხი გასცენ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში მათ საქმიანობასთან დაკავშირებულ შეკითხვებს.
4. მრჩეველთა საბჭოს ღია სხდომაზე დასწრებისა და აზრის გამოხატვის უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

მუხლი 5.

1. მრჩეველთა საბჭოს სხდომას ხელმძღვანელობს მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე. მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე იწვევს და წარმართავს სხდომებს, ხელს აწერს მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილებებს.
2. მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილებებს ახორციელებს მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
3. მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის და თავმჯდომარის მოადგილის არყოფნის შემთხვევაში მრჩეველთა საბჭოს სხდომის თავმჯდომარეს ირჩევენ მრჩეველთა საბჭოს წევრები.
4. მრჩეველთა საბჭოს სხდომები როგორც წესი, იმართება სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს შენობაში. ქ. ბათუმი მემედ აბაშიძის ქ. N41, თუ სხდომის მოწვევის განცხადებაში სხვა გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

მუხლი 6.

1. საკითხები მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე, როგორც წესი, განიხილება წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით.
2. მრჩეველთა საბჭოს აპარატი შემოსულ წინადადებათა საფუძველზე, ასევე, მრჩეველთა საბჭოს წევრთა მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე განსაზღვრავს მრჩეველთა საბჭოს სხდომის დღის წესრიგის ნუსხას და ათანხმებს მრჩეველთა საბჭოს წევრებთან.
3. მრჩეველს, მრჩეველთა საბჭოს მომავალი სხდომისა და მისი დღის წესრიგის შესახებ უნდა ეცნობოს სხდომამდე სულ ცოტა 3 სამუშაო დღით ადრე.
4. მრჩეველთა საბჭოს სხდომის დღის წესრიგი, განსახილველი საკითხები, თანდართულ მასალებთან ერთად ელექტრონული ფორმით გადაეგზავნება მრჩეველებს სხდომის გამართვამდე 3 სამუშაო დღით ადრე.
5. მრჩეველთა საბჭოს წევრი უფლებამოსილია მოითხოვოს დღის წესრიგში კონკრეტული საკითხის შეტანა. მრჩეველთა საბჭოს წევრის დასაბუთებული მოთხოვნა დღის წესრიგში საკითხის დამატების ან დღის წესრიგიდან საკითხის ამოღების შესახებ მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარეს უნდა წარედგინოს წერილობით სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს ორი დღისა.
6. დღის წესრიგში საკითხის დამატების შესახებ ინფორმაციას მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე გააცნობს მრჩეველებს სხდომის გახსნისთანავე. გადაწყვეტილება მიიღება წინამდებარე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 7.

1. მრჩეველთა საბჭოს სხდომა იწყება მრჩეველთა საბჭოს სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრულ დროს.
2. მრჩეველთა საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება მრჩეველთა საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა. მრჩეველთა საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე მრჩეველთა ხმების უმრავლესობით, თუ კანონმდებლობით სხვა წესი არ არის დადგენილი.
3. მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილების მიღებისას თითოეულ მრჩეველს აქვს 1 ხმა. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაამწყვეტია მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის ხმა.
4. მრჩეველს არა აქვს უფლება თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან. მრჩეველი ვალდებულია განახორციელოს თავისი უფლებამოსილება თუ იგი ესწრება სხდომას და დააფიქსიროს თავისი პოზიცია.

მუხლი 8.

1. მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე მოხსენებისათვის განკუთვნილ დროს ადგენს მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე: როგორც წესი მომხსენებელს ეძლევა 15 წუთამდე. (აუცილებლობის შემთხვევაში მრჩეველთა საბჭოს უფლება აქვს მოხსენებისათვის განკუთვნილი ვადა გაზარდოს დამატებით კიდევ 10 წუთით) თანამომხსენებელს 10 წუთამდე, მოსაზრების დაფიქსირებისათვის გამომსვლელს 5 წუთამდე. კითხვის დასმა ერთი წუთი, დისკუსიის შემთხვევაში შესაძლებელია მოსაზრებათა დაზუსტებისათვის დამატებით 5 წუთი მიეცეთ დისკუსიის მონაწილეებს.

2. გამომსვლელი უნდა შეეხოს საკითხის არსს ან გამოხატოს თავისი არგუმენტირებული დამოკიდებულება განსახილველი საკითხის მიმართ.

მუხლი 9.

1. სხდომის თავმჯდომარე:

ა) ხსნის და დამთავრებულად აცხადებს სხდომას;

ბ) უძღვება საკითხების განხილვას;

გ) უზრუნველყოფს რეგლამენტის დაცვას;

დ) განსაზღვრას საკითხის განხილვაში მონაწილეთა რიგიობას და სიტყვას აძლევს მათ;

ე) კენჭისყრაზე აყენებს საკითხს და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს;

ვ) ხელს აწერს სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმს;

ზ) ახორციელებს სხდომის გამართვისას სხვა უფლებამოსილებებს.

2. მრჩეველთა საბჭოს სხდომის თავმჯდომარე მრჩეველს სიტყვას ჩამოართმევს, თუ იგი:

ა) სიტყვით სხდომის თავმჯდომარის ნებართვის გარეშე გამოდის;

ბ) სიტყვით გამოდის და არ მსჯელობს განსახილველ საკითხზე;

გ) აჭარბებს ამ რეგლამენტით დადგენილ დროს ან იმ დროს, რომელიც მას გაუგრძელებს.

3. მრჩეველთა საბჭოს სხდომის თავმჯდომარე მრჩეველს გააფრთხილებს ოქმში დაფიქსირებით, მაგრამ თუ იგი გაფრთხილების მიუხედავად აგრძელებს სიტყვას ან/და არღვევს რეგლამენტს ან/და ხელს უშლის სხდომის ნორმალურ მიმდინარეობას, ამ შემთხვევაში მრჩეველთა საბჭოს წევრისათვის სიტყვის ჩამორთმევასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას ღებულობს მრჩეველთა საბჭო სხდომაზე დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით.

4. მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარეს უფლება აქვს თავისი ინიციატივით ან მრჩეველის/მრჩეველების მოთხოვნით მრჩეველთა საბჭოს სხდომის მიმდინარეობისას გამოაცხადოს შესვენება ან ცალკეული საკითხის (საკითხების) განხილვა გადადოს მრჩეველთა საბჭოს მომდევნო სხდომისათვის მრჩეველთა საბჭოს თანხმობით.

მუხლი 10.

1. თუ სხდომაზე მოწვეული პირი სიტყვით გამოსვლისას მისთვის განკუთვნილ დროს გადააცილებს, მრჩეველთა საბჭოს სხდომის თავმჯდომარე ჯერ აფრთხილებს, ხოლო შემდეგ ჩამოართმევს სიტყვას. თუ გამომსვლელი გასცდა განსახილველ საკითხს, სხდომის თავმჯდომარე აფრთხილებს მას ამის შესახებ.

2. სხდომაზე წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის უფლება ვრცელდება იმ პირებზეც, რომლებიც არ არიან მრჩეველთა საბჭოს წევრები. სხდომაზე მყოფ მოწვეულ და დამსწრე პირებს ეკრძალება მოქმედება, რომელიც ხელს უშლის მრჩეველთა საბჭოს ან მრჩეველს ფუნქციების შესრულებაში. კენჭისყრისას მათ თავი უნდა შეიკავონ შედეგისადმი პირადი დამოკიდებულების გამოხატვისაგან. წესრიგის დამრღვევ მოწვეულ ან დამსწრე პირებს მრჩეველთა საბჭოს სხდომის თავმჯდომარე მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე დამსწრე მრჩეველთა უმრავლესობის თანხმობით ატოვებინებს სხდომას.

3. მრჩეველთა საბჭოს წევრთა მიერ წესრიგის დასაცავად მიღებული გადაწყვეტილებები აისახება სხდომის საოქმო ჩანაწერში. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

მუხლი 11.

1. კენჭისყრა ყველა განხილულ საკითხზე, თუ მრჩეველთა საბჭოს წევრთა მიერ სხვა გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული, არის ღია (ხელის აწევა) და იგი ეწყობა კონკრეტული საკითხის განხილვის დამთავრებისთანავე.

2. მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილებები სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, დირექტორის არჩევასთან ან ვადამდე ადრე უფლებამოსილების შეწყვეტასთან, დაკავშირებით იმართება ფარული კენჭისყრით.

3. სხვა საკითხებთან დაკავშირებით ფარული კენჭისყრის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით. ფარული კენჭისყრა ტარდება ბიულეტენების მეშვეობით. ბიულეტენები უნდა დამოწმდეს ტელევიზიისა და რადიოს ბეჭდით.

მუხლი 12.

1. მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტილებათა მიღების მიმდინარეობა ფიქსირდება მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმში, რომელსაც ადგენს, აფორმებს და ხელმოსაწერად ამზადებს მრჩეველთა საბჭოს აპარატის თანამშრომელი.

2. მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმში შეიტანება:

ა) ოქმის რიგითი ნომერი, სხდომის გამართვის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი);

ბ) სხდომაზე დამსწრე მრჩეველთა საბჭოს წევრთა ვინაობა;

გ) სხდომაზე მოწვეულ პირთა ვინაობა და თანამდებობა;

დ) სხდომის მდივნის ვინაობა;

ე) დღის წესრიგი;

ვ) დღის წესრიგით გათვალისწინებულ თითოეულ საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება;

ზ) გამომსვლელთა მოთხოვნით, განხილულ საკითხზე მათი განსხვავებული აზრის მოკლე შინაარსი.

3. სხდომის ოქმი არ ქვეყნდება, თუმცა საჯაროა და შესაძლებელია მისი ასლის მიწოდება მოითხოვოს ნებისმიერმა პირმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად.

მუხლი 13.

1. გადაწყვეტილება დღის წესრიგით გათვალისწინებულ თითოეულ საკითხზე მიიღება ცალკე-ცალკე.

2. მრჩეველთა საბჭოს აპარატი, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს შესაბამისი სამსახურის მეშვეობით, მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მიერ ხელმოწერილ გადაწყვეტილებას, კანონმდებლობით დადგენილი წესით აფორმებს და აქვეყნებს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.ajaratv.ge მიღებიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 14

1. მრჩეველთა საბჭო მაუწყებლობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებისა და პრიორიტეტების შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

ინტერესების გათვალისწინებით, განსაზღვრავს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს პროგრამულ პრიორიტეტებს.

2. პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრა მრჩეველთა საბჭოს მიერ უნდა მოხდეს ახალი სატელევიზიო სეზონის დაწყებამდე ორი თვით ადრე. (აღნიშნული პუნქტი ამოქმედდეს 2017 წლის 01 იანვრიდან).

3. მრჩეველთა საბჭო საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს პროგრამული პრიორიტეტების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით.

4. პროგრამულ პრიორიტეტებს მრჩეველთა საბჭო ათანხმებს სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოსთან.

მუხლი 15

1. დირექტორის წარდგინებით, სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედით იღებს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დებულებას, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების რედაქციული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას; უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით ან დირექტორის წინადადებით, ცვლილებები შეიტანოს დებულებაში.

მუხლი 16

მონიტორინგისა და ხარისხის კონტროლის სამსახური ანგარიშვლადებულია მრჩეველთა საბჭოს წინაშე. ის თვეში ერთხელ მრჩეველთა საბჭოს წარუდგენს ანგარიშს შესრულებული სამუშაოს შესახებ. ანგარიში შედგენილი უნდა იყოს დამოუკიდებელი და ობიექტური საქმიანობის პრინციპების გამოყენებით. ის უნდა შეიცავდეს პროგრამული პრიორიტეტების შესრულების კუთხით, ანალიზს და შეფასებას.

მუხლი 17

1. მრჩეველთა საბჭო დირექტორის წარდგინებით მსჯელობს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ბიუჯეტის პროექტზე. მრჩეველთა საბჭო საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის დამტკიცებამდე 1 თვით ადრე წარუდგენს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ბიუჯეტის პროექტს.

2. მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის წარდგენა მაუწყებლის დირექტორის მიერ უნდა მოხდეს მიმდინარე წლის არაუგვიანეს 15 ოქტომბრისა.

3. მრჩეველთა საბჭო ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენიდან 15 დღის ვადაში იწვევს სხდომას და იხილავს წარმოდგენილ პროექტს.

4. მრჩეველთა საბჭო სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით იღებს ბიუჯეტის პროექტს და დასამტკიცებლად უგზავნის საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ან შენიშვნებით უკან უბრუნებს ბიუჯეტის პროექტს.
5. დირექტორი 10 კალენდარული დღის განმავლობაში განიხილავს მრჩეველთა საბჭოს შენიშვნებს და კორექტირებულ დოკუმენტს უგზავნის მრჩეველთა საბჭოს განსახილველად.
6. მრჩეველთა საბჭო დირექტორის მიერ წარმოდგენილი კორექტირებული ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენიდან 5 დღის ვადაში იწვევს სხდომას და განიხილავს დოკუმენტს.
7. თუ დირექტორის მიერ წარმოდგენილ კორექტირებულ ვარიანტს არ დაეთანხმება მრჩეველთა საბჭო. მას შეუძლია საკუთარი ინიციატივით შეიმუშავოს ცვლილების პროექტი და დასამტკიცებლად წარუდგინოს სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს.
8. ბიუჯეტში ცვლილების შეტანა შეუძლია მრჩეველთა საბჭოს საკუთარი ინიციატივით ან დირექტორის წინადადებით.
9. მრჩეველთა საბჭო საკუთარი ინიციატივით ბიუჯეტში ცვლილების შეტანის დროს ბიუჯეტის ცვლილების პროექტს მოსაზრებებისათვის წარუდგენს დირექტორს, რომელსაც უფლება აქვს ხუთი სამუშაო დღის ვადაში მრჩეველთა საბჭოს წარუდგინოს თავისი მოსაზრებები ბიუჯეტში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით.
10. იმ შემთხვევაში თუ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო“ არ დაამტკიცებს მრჩეველთა საბჭოს მიერ წარდგენილი ბიუჯეტის პროექტს, ბიუჯეტის პროექტის განხილვა ხდება რეგლამენტით დადგენილი წესით.

მუხლი 18

1. მრჩეველთა საბჭო ისმენს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს.
2. დირექტორი ვალდებულია ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მრჩეველთა საბჭოს წარუდგინოს არაუგვიანეს მომდევნო წლის 01 მარტამდე.
3. მრჩეველთა საბჭო არაუგვიანეს 10 მარტისა მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე ისმენს გასული წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს და დასამტკიცებლად წარუდგენს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს.

მუხლი 19

1. მრჩეველთა საბჭო მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე ისმენს დირექტორის საქმიანობის ყოველკვარტალურ ანგარიშს, მათ შორის ფინანსურ ანგარიშს კვარტალის დასრულებიდან 15 დღის ვადაში.

2. დირექტორი ვალდებულია მრჩეველთა საბჭოს წარმოუდგინოს კვარტალური ანგარიში კვარტალის დასრულებიდან 10 დღის განმავლობაში.

მუხლი 20

1. მრჩეველთა საბჭო თანხმობას აძლევს დირექტორს ისეთი გარიგების დადებაზე, რომლის ღირებულება აღემატება საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ბიუჯეტის 1%-ს.

2. დირექტორი მრჩეველთა საბჭოს წარუდგენს წერილობით განცხადებას თანხმობის მიცემის თაობაზე, რომელშიც დასაბუთებული უნდა იყოს გარიგების დადების საჭიროება და ღირებულების განსაზღვრის წესი.

3. მრჩეველთა საბჭო ათი კალენდარული დღის ვადაში განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას თანხმობის მიცემის ან თანხმობის მიცემაზე უარის თქმის შესახებ.

მუხლი 21

1. მრჩეველთა საბჭო განსაზღვრავს დირექტორის შრომის ანაზღაურების პირობებსა და ოდენობას.

2. თანხმობას აძლევს დირექტორს შვებულებაში გასვლაზე.

მუხლი 22

მრჩეველთა საბჭო დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს საშტატო განრიგს და თანამშრომელთა სარგოებს, სახელფასო ფონდს, მათ შორის, საპრემიო ფონდს და პრემიების ზღვრულ ოდენობებს.

მუხლი 23

მრჩეველთა საბჭო ადგენს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლების შრომითი ხელშეკრულების ძირითად პირობებს, მათ შორის, ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის პირობებს, იმის გათვალისწინებით, რომ შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა 1 წელზე ნაკლები არ უნდა იყოს, გარდა საინჟინრო-ტექნიკური მუშაკებისა, რომელთა შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა 5 წელზე ნაკლები არ უნდა იყოს (გამონაკლისია ისეთი პროგრამების შესრულებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები, რომელთა მოქმედების ვადაც 1 წელზე ნაკლებია).

მუხლი 24

დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნის საკითხი განისაზღვრება ცალკე წესით.

მუხლი 25

1. მრჩველთა საბჭოს დისკრეციული უფლებამოსილებაა დირექტორისათვის უნდობლობის გამოცხადება.
2. მრჩველთა საბჭო უფლებამოსილია სრული შემადგენლობის უმრავლესობით უნდობლობა გამოუცხადოს დირექტორს, თუ ამას წერილობით მოითხოვს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედი.
3. მრჩველთა საბჭო ვალდებულია უნდობლობის გამოცხადების შესახებ წინადადება განიხილოს და მას კენჭი უყაროს წინადადების წარდგენიდან 10 კალენდარული დღის ვადაში. დირექტორი უფლებამოსილია დაესწროს საკითხის განხილვას და წარადგინოს თავისი მოსაზრება.
4. თუ მრჩველთა საბჭომ უნდობლობა არ გამოუცხადა დირექტორს, დაუშვებელია მისთვის უნდობლობის გამოცხადების საკითხის დასმა მომდევნო 2 თვის განმავლობაში.

მუხლი 26

1. მრჩველთა საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს მრჩველთა საბჭოს აპარატი (შემდგომში - აპარატი).
2. აპარატის საქმიანობის კოორდინაციას უზრუნველყოფს მრჩველთა საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის მოადგილე.
3. აპარატი ახორციელებს:
 - ა) მრჩველთა საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას, რაც მოიცავს:
 - მრჩველთა საბჭოს ღონისძიებების (სხდომები, კონფერენციები, საზოგადოებრივი მოსმენები) ორგანიზება;
 - მრჩველთა საბჭოს მუშაობის განრიგის და სხდომათა დღის წესრიგის ფორმირებას, სხდომის შედეგების მიხედვით მასალების დარიგებას/დაგზავნას შესაბამისი პირებისათვის;
 - მრჩველთა საბჭოს საქმიანობის დოკუმენტურ გაფორმებას და საქმისწარმოების გაძლოლას;
 - სხვა ფუნქციებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში;
 - ბ) მრჩველთა საბჭოს საქმიანობის ინფორმაციულ უზრუნველყოფას, რაც მოიცავს:

- მრჩველთა საბჭოს მიერ ჩასატარებელი ღონისძიებების და სხდომების შესახებ მრჩველების ინფორმირებას;

- მრჩველთა საბჭოს საქმიანობის მაუწყებლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ასახვის კოორდინაციას;

- სხვა ფუნქციებს კომპეტენციის ფარგლებში.

4. აპარატი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე დებულებით დაკისრებული ფუნქციების ჯეროვანი შესრულება;

ბ) მის კომპეტენციას მიკუთვნებული ფუნქციების განხორციელებისას დაიცვას ინფორმაციის საიდუმლოება, რომლის გამჟღავნებაც დაუშვებელია საქართველოს კანონმდებლობით;

გ) დაიცვას და შეასრულოს მაუწყებლის მრჩველთა საბჭოს მიერ მიღებული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნები.

5. აპარატი შედგება მაუწყებლის თანამშრომლებისაგან, რომლებსაც მრჩველთა საბჭოს წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს მაუწყებლის დირექტორი, შესაბამისი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

მუხლი 27

1. მრჩველთა საბჭო უფლებამოსილია რეგლამენტში შეიტანოს ცვლილებები კანონმდებლობასთან შესაბამისობის, ობიექტური გარემოების ან/და რაიმე პროცედურის დეტალურად გაწერის მიზნით.

2. რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მრჩველთა საბჭოს გადაწყვეტილებით.